ზედამხედველობის ჩატარების პერიოდი (წელიწადში ერთხელ)
Control once in a year

ორგანოს ხელმძღვანელი / HEAD OF THE BODY — ხელისმოწერა / Signature — ე. მახარობლიძე / E. Makharoblidze /

ექსპერტი / EXPERT — ხელისმოწერა / Signature — პ. პიტიურიშვილი / P. Pitiurishvili /

შპს „კირკიტაძე და კომპანია“, საქართველო, თბილისი, პეკინის ქ.№27
ტელ: +995 32 237 46 49 მობ. + 995 99 56 22

LTD "KIRKITADZE & COMPANY" Georgia, Tbilisi, pekini str: N:27 tel: +995 32 2374649

ქვაბულის მიღება-ჩაბარების აქტი

17.06.2022 წ

ქ.თბილისი, ი.სხირტლაძის #2, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #34,#34ა,#34გ, N#101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით ს/კ 01.14.03.042.426

სამუშაოთა მწარმოებელი: გიორგი ბერიძე

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერებმა, ინჟინერ-გეოლოგმა გიორგი ბეგაშვილმა და სამუშაოთა მწარმოებელმა გიორგი ბერიძემ დავათვალიერეთ, ქ.თბილისში, ი.სხირტლაძის #2, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #34,#34ა,#34გ, N#101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით ს/კ 01.14.03.042.426 საბავშვო ბაღის სამშენებლო მოედანზე მოწყობილი ქვაბული და ვადგენთ:

1. სამშენებლო მოედანზე, ქვაბული გახსნით გამოვლენილი გრუნტები შეესაბამება საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში მოცემულ გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილს. თიხნარი ძნელპლასტიკური კონსისტენციის R – 1,8 კგძ/სმ².
2. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მიღებული უნდა იქნას საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში მოცემული მახასიათებლების თანახმად.
3. ქვაბულში წყალი არ გვაქვს.
4. ქვაბულის სიღრმე ტერიტორიის ბუნებრივი ნიშნულიდან: - მიწის ნიშნულიდან საშუალოდ 2,80 მეტრი.
5. პროექტით მიღებული გრუნტის თიხნარი ძნელპლასტიკური კონსისტენციის R – 1,8 კგძ/სმ².
6. ფუძედ მიღებული გრუნტების გამაგრება - ხრეშ-ბალასტოვანი ფენა მოტკეპნილი.
7. შენობა-ნაგებობის საძირკველი: რკინა-ბეტონის ფილა

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით:

სამუშაოთა მწარმოებელი: გიორგი ბერიძე

ინჟინერ-გეოლოგი: გიორგი ბეგაშვილი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5948293

გაცემის თარიღი: 20/05/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1899387
შემოსვლის თარიღი: 19/05/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.03.042.426
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა -ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 9948.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ევროპული სკოლა" (205172917)

ნომენკლატურა :

- **ბაგა-ბაღი**
- **III კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ძიძიგაშვილი პ/ნ 12001092336
- მისამართი: თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ევროპული სკოლა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205172917
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სოფიო ბაზაძე; თამარ არაბიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60001024914; 35001005450

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5940588
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 17.05.2022

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

1. გაიცეს ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი , ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა -ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.03.042.426) ბაგა-ბაღის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 20 მაისიდან 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის

მოწესრიგებასთან. სამშენებლო ტექნიკის განთავსების პლატფორმის მოწყობა

2) შენობა-ნაგებობის გრუნტის ზედაპირზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

3) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები;

შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები

შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

4) შენობა-ნაგებობის ±0.00 ნიშნულამდე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა; ციკლის დასრულება;

შენობა-ნაგებობის ±0.00 ნიშნულიადან

ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა; შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

5) შენობა-ნაგებობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141[5] მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2023 წლის 1 იანვრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

6. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრესთან.

7. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

-აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

-აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

-უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

- დამკვეთი ვალდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №8-19 დადგენილების თანახმად, უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა, რომლის გადაუხდელობაც ჩაითვლება სანებართვო პირობის დარღვევად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მომსახურების ხელშეკრულება №C-273/04/25-I273

ქ. თბილისი

„7“ აპრილი 2025 წ.

ერთის მხრივ, შპს „ევროპული სკოლა" ს/ნ 205172917 (შემდგომში - „დამკვეთი") იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ირინე სხირტლაძის ქ. №2, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული მენეჯერის თამარ არაბიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი +“ ს/კ 406304896 (შემდგომში - „შემსრულებელი"), იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ჭიპაშვილის სახით სახით, ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საზოგადოების წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი ახორციელებს 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოს.

1.2 შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს წარმოადგენს: ინსპექტირების ანგარიშის მომზადება: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილებით განსაზღვრული საეტაპო ოქმების შედგენა და მათი გადაცემა დამკვეთისთვის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც მშენებლობის პროცესში ან მისი დასრულებისას უნდა შეადგინოს აკრედიტირებულმა პირმა.

1.3 ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღწერილი სამუშაო შეეხება მშენებარე ობიექტს, რომლის მისამართია: ***ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი, ქუჩა ირინე სხირტლაძის, №2, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34ა-ს მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის №34გ მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის №34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ის ეზოში, №101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.042.426) ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა ეტაპების დადასტურების მიზნით და კონსტრუქციული პროექტის ინსპექტირება სადაც ასევე განხილული იქნება მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დარღვევები.***

მუხლი 2. მხარეთა განცხადებები, უფლებები და ვალდებულებები

შემსრულებელი ვალდებულია:

2.1 უზრუნველყოს 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა **დოკუმენტაციის მოწოდებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში** ჩათვლით.

2.2 დროულად აცნობოს დამკვეთს იმ გარემოებების არსებობის შესახებ, რომელიც შემსრულებლისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას საფრთხეს უქმნის.

2.3 მომსახურება გაწიოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მათ შორის გულისხმობს იმას, რომ დამკვეთს დროულად (წარდგენამდე 2 კალენდარული დღით ადრე) მიაწოდოს საეტაპო ოქმები, რათა დამკვეთმა შეძლოს საეტაპო ოქმების შეტყობინების ვადების დაცვა, რაც წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის განისაზღვრება შემდეგნაირად: მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე და შესაბამისი ეტაპის დასრულებისას.

დამკვეთი ვალდებულია:

2.4 გადასცეს შემსრულებელს სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაცია.
2.5 სამუშაოები აწარმოოს შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
2.6 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს მომსახურების საფასური.
2.7 აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთის ობიექტზე მიმდინარე ინსპექტირების სამუშაოებზე დასწრების უფლება მისცეს აღნიშნული ორგანოს წარმომადგენელ(ებ)ს.
2.8 ინსპექტირების ჯგუფს (შემსრულებლის წარმომადგენლებს) ობიექტზე შესვლისას, წარმომადგენლების მოთხოვნის შემთხვევაში, გააცნოს მათ შრომის უსაფრთხოების წესები.შემსრულებელი აცხადებს, რომ: მას გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად საჭირო აკრედიტაცია და იძლევა გარანტიას, რომ აკრედიტაცია ძალაში იქნება ხელშეკრულებს ვადის ბოლომდე.
2.9 მან დამკვეთისგან მიიღო მომსახურების გასაწევად საჭირო ყველა და ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი.

მუხლი 3. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

3.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი და პირობები.

4.1 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური ჯამურად შეადგენს ***15 000 (ხუთმეტი ათასი)*** ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.
4.2 ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხელშეკრულების დანართი №1-ს შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში), შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ:

სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE98BG0000000162660771

მუხლი 5. სამუშაოს დაწყებისა და დასრულების თარიღი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მათზე ნაკისრი ვალდებულებების სრული და დროული შესრულება.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან და **დოკუმენტაციის მოწოდებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში** დაასრულოს ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.
5.3 იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ გაცემული იქნა თანხმობა ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული თანხმობა გააფორმონ წერილობით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება, რაც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 თუ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ იქნება განხორციელებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული, გადახდილი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ვალდებულების პირნათლად შესრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ დამკვეთმა არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება სრულად, შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 თუ შემსრულებლის მიერ დროულად არ იქნება წარდგენილი საეტაპო აქტი დამკვეთის მიერ კალენდარული გრაფიკის ვადებში დამთავრებული შესაბამისი ეტაპის შესახებ და რის გამოც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო დააჯარიმებს დამკვეთს, დამკვეთი უფლებამოსილია ჯარიმის თანხა მოითხოვოს შემსრულებლისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით მათზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული ან დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რის გამოც შეუძლებელი გახდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ფორმით აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების შესახებ.

7.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები გაგრძელდა 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეები შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილნი არიან გავიდნენ ხელშეკრულებიდან.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

8.1 შემსრულებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს/არ გადასცეს საინსპექციო საქმიანობისას მოპოვებული ინფორმაცია/დოკუმენტები მესამე პირებს, დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე (გარდა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ საინსპექციო საქმიანობისას მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტების მოთხოვნისას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში). ამ უკანასკნელის შემთხვევაში დამკვეთს 7 დღის ვადაში ეცნობება მიწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტების შესახებ.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 11. პერსონალური მონაცემების დაცვა

11.1. თითოეული მხარე ვალდებულია როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ დაიცვას იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ამ ხელშეკრულებით გახდა ცნობილი.

11.2. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულების ფარგლებში ამუშავებს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია ამ ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად.

11.3. თითოეული მხარე:

ა) ვალდებულია ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, პროპორციული მოცულობითა და ხანგრძლივობით;

ბ) ვალდებულია მიიღოს ტექნიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ზომები ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

გ) ვალდებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას იხელმძღვანელოს ფიზიკური პირის საუკეთესო ინტერესებით.

5.4. ფიზიკური პირის როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების წესები და პირობები რეგულირდება დამკვეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულებითა და სხვა შიდა რეგულაციებით, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე.

5.5. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით დამკვეთის საკონტაქტო პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - შპს მონაცემთა დაცვის ოფიცერი (+995 555 50 51 58; info@dpo.ge www.dpo.ge).

უხლი 12. სხვა დებულებები

12.1. მხარეები ვალდებულნი არიან ყოველი შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან (ცვლილება/დამატება) გააფორმონ წერილობით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

12.2 ყოველი შეტყობინება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჩაითვლება მიღებულად მხარის მიერ თუ გადაეგზავნა მეორე მხარეს ელექტრონული ფოსტით. ელ. ფოსტის რეკვიზიტების არარსებობის შემთხვევაში, მხარეს შეტყობინება გაეგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

12.3 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მათ რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამ ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

12.5 მხარეები სრულად ეთანხმებიან ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა პირობას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

12.6 წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად აუქმებს მხარეთა შორის 01.14.03.042.426 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ბაგა ბაღის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებით არსებულ ყველა წერილობით ან/და ზეპირ შეთანხმებას/ხელშეკრულებას.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი შპს „ევროპული სკოლა“ ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ირინე სხირტლაძის ქ. №2 ს/ნ 205172917 ელ.ფოსტა: gdzidzikashvili@tifliscity.ge ტელ.: 555 19 21 25	შემსრულებელი შპს „მშენ-ექსპერტი +“ ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23 ს/კ 406304896 ელ ფოსტა: Mshenexperti.plus@gmail.com ტელ: 595-95-25-22
დამკვეთი **შპს „ევროპული სკოლა“** *თამარ არაბიძე* ადმინისტრაციული მენეჯერი	*შემსრულებელი* **შპს „მშენ-ექსპერტი +“** *ალექსანდრე ჭიპაშვილი* დირექტორი

საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0350

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის
მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, დიღმის მასივი,VI კვარტალი,მე-6 კორპუსის მიმდებარედ

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია: 2025 წლის 9 თებერვალი

ძალაშია: 2029 წლის 9 თებერვალი

გენერალური დირექტორი

67ა აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 2 19 22 23
gac@gac.gov.ge

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

30 / იანვარი / 2025 წ.

KA990138906209225

№ **GAC-03/57**

შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს

გიგზავნით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის № 06/19 განკარგულებას, აკრედიტაციის სფეროს და აკრედიტაციის მოწმობას.

დანართი: აკრედიტაციის მოწმობა, სფერო და განკარგულება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

28 / იანვარი / 2025 წ.

KA990198667558125

№ **06/19**

განკარგულება
შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს განმეორებით აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების" საკ 1.1:2020 - „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 1.7:2020 – „წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ და საკ 1.10:2020 – „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესი“-ის მე-3 მუხლის საფუძველზე,

1.შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანო დადებითად შეფასდეს საქართველოს სტანდარტთან ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე და მიენიჭოს განმეორებით აკრედიტაცია 2025 წლის 9 თებერვლიდან.

2.გაიცეს აკრედიტაციის მოწმობა იმავე უნიკალური ნომრითა და ახალი აკრედიტაციის ვადის მითითებით თანდართულ აკრედიტაციის სფეროსთან ერთად 2025 წლის 9 თებერვლიდან.

3.შესაბამისი ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს 2025 წლის 9 თებერვლიდან აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge.

4.ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი:

1.აკრედიტაციის კომიტეტის 2025 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.
2.აკრედიტაციის ცენტრის ინსპექტირების ორგანოებისა და ლაბორატორიების აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ნესტან მგელაძის 2025 წლის 28 იანვრის **№58-04/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0350**
განკარგულება №06/19
თარიღი:28.01.2025 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციი ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „მშენ-ექსპერტი +“

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, მე-6 კორპუსის მიმდებარედ

1	2	3	4
1	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი –მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. MEP-TP-G01 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
2	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადექვატურობის ინსპექტირება.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: • დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან; • კონკრეტული მომწოდებლის რესურსებთან და შესაძლებლობებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV - 82); 2. ერთიანი ნორმები და ფასები - (ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;

			6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი -„სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერი, დადგენილება №439) 8. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 9. MEP-TP-G02 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
3	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან;	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი –მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. MEP-TP-G03 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები

4	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732). 6. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 7. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 8. MEP-TP-G04.1 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
5	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით); • სუსტი დენების; • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; • წყალმომარაგება, კანალიზაცია,	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების

	წყალარინების სისტემების; • გაზის ქსელებისა და სისტემების: - საშუალო და დაბალი წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები წნევა - 0 კგ/სმ²-დან - 0,005 კგ/სმ²-ჩათვლით. - საშუალო წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 0.005 კგ/სმ²-დან - 3 კგ/სმ²-ჩათვლით. - ძეოოე კატეგოოიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 3 კგ/სმ²-დან - 6 კგ/სმ²-ჩათვლით. - პირველადი კატეგორიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 6 კგ/სმ²-დან - 12 კგ/სმ²-ჩათვლით)		ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 9. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 10. საუწყებო სამშენებლო ნორმები (BCH); 11. ისო/იეკ 11801-2017 12. MEP-TP-G04.2 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

	შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება		
6	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების.....) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრავიო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N 732. 2020 წლის 20 დეკემბერი. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს

			მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. ტექნიკური რეგლამენტი „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება); 11. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N 354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" 12. MEP-TP-G05 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
7	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. MEP-TP-G06.5 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

8	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732). 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. MEP-TP-G06.6 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
9	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ...) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. MEP-TP-G06.1 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
10	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, და მათი	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების

	ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ტექნიკური რეგლამენტი „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება); 6. MEP-TP-G06.2 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
11	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება		1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. MEP-TP-G06.2 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
12	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება

	შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება		N41); 5. MEP-TP-G06.4 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
13	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. MEP-TP-G06.3 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
14	პროექტის საინჟინრო ქსელების: გაზმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 4. ტექნიკური რეგლამენტი „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“. საქართველოს მთავრობის დადგენილება №257. 2014 წლის 26 მარტი. 5. MEP-TP-G06 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

15	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. MEP-TP-G06.8 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
16	პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება, N 361); 3. ტექნიკური რეგლამენტი: “ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება N 477) 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 6. MEP-TP-G06.7 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.